


Sculpture Festival



2025

ქანდაკების
ფესტივალი

თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია
TBILISI ASSOCIATION OF ARCHITECTS AND SCULPTORS

პროექტის ხელმძღვანელი
ლევან სალუქვაძე

Head of the project
Levan Salukvadze

პროექტის კურატორი
სოფიო ჩიტორელიძე

Project curator
Sopio Chitorelidze

ფოტო
ალექსანდრე სვატიკოვი

Photographer
Alexander Svatikov

ტექსტი
სოფიო ჩიტორელიძე


Text
Sopio Chitorelidze

ფესტივალის კატალოგი
გამოსაცემად მომზადდა
თბილისის მერიის
მხარაჭერით

The festival catalog was
prepared for publication with
the support of Tbilisi City Hall

თბილისი - 2025

Tbilisi - 2025



ქანდაკების ფესტივალი - 2025

2025 წელს თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაციის ორგანიზებით „ქანდაკების ფესტივალი“ მესამედ გაიმართა. ფესტივალი თბილისის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა და თავისი შინაარსითა და მასშტაბით უკვე დამკვიდრებული ფორმატის გაგრძელებას, მაგრამ ამავედროულად მისი გაღრმავებისა და განახლების მცდელობას წარმოადგენდა. ფესტივალის პროგრამამ კიდევ ერთხელ გააერთიანა სხვადასხვა თაობის მოქანდაკეები (ბავშვები, სტუდენტები და პროფესიონალი ავტორები) ერთ კონტექსტში, სადაც თანამედროვე ქართული ქანდაკების მიმდინარე პროცესები, ძიებები და ტენდენციები მკაფიოდ იკითხებოდა. ფესტივალის ძირითადი ღონისძიებები - გამოფენები, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში გაიმართა.

ფესტივალი გაიხსნა სასკოლო ასაკის მოზარდთა გამოფენით „მომავალი მოქანდაკე“, რომელიც ღონისძიებების პროგრამაში კვლავ ცენტრალურ რგოლად დარჩა. საქართველოს სხვადასხვა სკოლიდან შეკრებილმა მონაწილეებმა სამგანზომილებიანი ქანდაკებები, რელიეფები და არტობიექტები განსხვავებულ მასალებში შექმნეს (ბუნებრივი თიხა, პლასტიკი, თაბაშირი, ნაპოვნი ობიექტები და მარტივი კონსტრუქციული ელემენტები).

2025 წლის ექსპოზიციამ გამოკვეთა მოზარდი ავტორების თავისუფალი და უშუალო ხედვა: ისტორიულ, მითოლოგიურ, ყოფით თუ ფანტაზიურ თემებზე აგებულ ნამუშევრებში აშკარად იგრძნობოდა მასალასთან ექსპერიმენტის სურვილი და ფორმის პლასტიკური გააზრება. ჩანდა ირონიული და პოეტური ინტერპრეტაციებიც - პატარა ავტორები ცდილობდნენ პერსონაჟი არა მხოლოდ „დაეხატათ“, არამედ მისი ხასიათიც გადმოეცათ.

„მომავალი მოქანდაკე“ კიდევ ერთხელ გადაიქცა მონაწილე ბავშვებისთვის შთაგონების წყაროდ, ხოლო მაყურებლისთვის - ქართული ქანდაკების მომავალი შესაძლებლობების წინასწარ დანახვის საშუალებად. აქ არავინ ეძებდა დასრულებულ „აკადემიურ“ ფორმას; მეტ მნიშვნელობას იძენდა პლასტიკური აზროვნების გაღვივება, მასალასთან უშუალო ურთიერთობა და იმპროვიზაცია, რომელიც ბიძგს აძლევს მომავალ პროფესიულ ეტაპს.

ფესტივალის საგანმანათლებლო ხაზიც 2025 წელს აქტუალური დარჩა. სტუდენტური და ახალგაზრდული პროექტები, საჯარო ლექციები, დისკუსიები და შეხვედრები საშუალებას აძლევდა მონაწილეებს და დაინტერესებულ პუბლიკას ეფიქრა არა მხოლოდ ცალკეულ ნამუშევრებზე, არამედ იმაზე, რა პოზიციას იკავებს ქანდაკება თანამედროვე კულტურულ სივრცეში.

მიმდინარე პროცესებზე, საჯარო სივრცის ფორმირებაში ქანდაკების როლზე, ქალაქის ვიზუალურ იერსახესა და სოციალური თემების სკულპტურული ენით გადმოცემის შესაძლებლობებზე საუბარი მონაწილეებს აძლევდა შესაძლებლობას, საკუთარი შემოქმედება კულტურის უფრო ფართო ქართული და რეგიონული კონტექსტის ნაწილად დაენახათ.

ფესტივალის დასკვნითი და ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება გახდა გამოფენა „ქართული ქანდაკება - 2025“, რომელმაც ოცდაათი თანამედროვე ნამუშევარი გააერთიანა. აქ წარმოდგენილი იყო სხვადასხვა თაობის პროფესიონალი მოქანდაკეების მიერ ბოლო წლებში შექმნილი სკულპტურული კომპოზიციები. ნამუშევრები მრავალფეროვანი მასალით, ფორმითა და კონცეფციით გამოირჩეოდა - ტრადიციული ქვისა და ბრინჯაოს პლასტიკიდან ხესა და მეტალთან ექსპერიმენტებამდე, თაბაშირთან მუშაობიდან შერეულ ტექნიკამდე და 3D ბეჭდვამდე. გამოფენა მკაფიო სურათს გვთავაზობდა, თუ როგორ თანაარსებობს დღეს საქართველოში მონუმენტური აზროვნება დაზგურ, კამერულ ფორმებთან, ფიგურაციული, ნარატიული გამოსახულება - აბსტრაქციასთან და ფორმის წმინდა პლასტიკურ ძიებასთან.

ექსპოზიციაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ფიგურისა და პორტრეტის თემას. ლიზა ეპიტაშვილის ტონირებულ თაბაშირში შესრულებული „ლევანი“ ინტიმური, ჩაფიქრებული სახით გამოირჩეოდა - მწვანე მონოქრომული ზედაპირი და რბილად ჩამოყალიბებული ფორმები პორტრეტს მშვიდ, კონტემპლაციურ ხასიათს ანიჭებდა და მაყურებლის ყურადღებას შინაგან, ჩუმ ემოციაზე ამახვილებდა.

ბექა ჩხაიძის „სტუდენტის პორტრეტი“, ასევე თაბაშირში შესრულებული ახალგაზრდის სახე, გამოირჩეოდა ნაწილობრივ დაუმუშავებელი ზედაპირითა და „შეჩერებული მხერით“, რაც მოზარდობის შიდა დაძაბულობასა და „ფიქრის შრეს“ ხდიდა ხილულს.

ეკატერინე გაჩეჩილაძის „ფსიქოლოგ ეთერ შენგელაიას პორტრეტი“ მკაფიოდ ავლენდა ავტორის ინტერესს პიროვნული ხასიათის მიმართ: დინჯი, ყურადღებიანი მზერა, მსუბუქი ღიმილი და თბილი ტონალობა ნამუშევარს მშვიდ გამოსახულებად აყალიბებდა.

ეკატერინე ბულაშვილის „დიანა“ თითქოს კლასიკური ბიუსტის ტრადიციას აგრძელებდა, თუმცა თანამედროვე ინტერპრეტაციით - ახალგაზრდა ქალის სახე მკაფიო პლასტიკითა და ნახევარმთვარის სიმბოლური ელემენტით პორტრეტს არა მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებად, არამედ მითოლოგიურ ალუზიადაც წარმოაჩენდა.

ფიგურატიულ ხაზში მნიშვნელოვანი იყო ნიკოლოზ ტაბიძის ბრინჯაოს „ცხენი“ - მოძრაობისადმი ინტერესი და ენერგიით სავსე სხეული ქმნიდა ქანდაკებას, სადაც ძალა, სწრაფვა და პლასტიკური თავისუფლება ერთიანდებოდა.

განსხვავებულად, თუმცა იმავე თემატურ ველში იკითხებოდა გიორგი ლარიაშვილის „ცხენი“, სადაც ავტორმა უფრო მშვიდი პოზა აირჩია და ანატომიური მთლიანობისა და შინაგანი დინამიკის ბალანსს ეძებდა.

ქალის ფიგურის თემას თავისებურად ეხმიანებოდა ნუგზარ მანჯაფარიშვილის ქვის „ქალის ტორსი“ - ერთი მონოლითური მასიდან გამოკვეთილი, აბსტრაქტულამდე გამარტივებული სხეული, სადაც რბილი კონტურები და ბუნებრივი ტექსტურა ერთდროულად წარმოაჩენდა სხეულის მოძრაობასა და ფორმის სიმძიმეს.

ნათო თოფურიას „განწყობა“ კი ტონირებულ თაბაშირში შესრულებული ქალის ფიგურა იყო, რომელიც მსუბუქი პოზითა და ლირიკული პლასტიკით განწყობის, შინაგანი სიმშვიდისა და ჰარმონიის თემას ავითარებდა.

აბსტრაქციისა და ფორმის ძიების მიმართულება გამოფენაზე ერთ-ერთ საინტერესო ხაზად წარმოჩინდა. თენგიზ აბრამიშვილის „კონსონანსი“ „აუქურული“ ბრინჯაოს სტრუქტურით იქცევდა ყურადღებას - სხეული და სიცარიელე, მასა და ჰაერი აქ თანაბარი მნიშვნელობის კომპონენტებად ყალიბდებოდა. ხაზების მსუბუქი რიტმი, მწვანე პატინა და შიგნით გაჩენილი სინათლისა და ჩრდილის თამაში ქმნიდა ჰარმონიას, რომელიც გამუდმებული მოძრაობის განცდას ბადებდა.

ავთანდილ არბოლიშვილის „აბსტრაქცია“ ხის მასალაში აგებულ კონსტრუქციულ ობიექტად ჩნდებოდა - გეომეტრიული ფორმების მონაცვლეობით, რიტმული განლაგებითა და ზედაპირის ბუნებრივი ტექსტურით ნამუშევარი ქანდაკების, როგორც სივრცითი სტრუქტურის კონცეფციას ავითარებდა.

რეზო ხასიას „დროის სიმძიმე“ მკვეთრად განზონანსორებულ გეომეტრიაზეა აგებული: მასიური ქვედა ფორმა, ზემოთ მიმართულ კონუსურ ტანთან და ზედა პლატფორმასთან ერთად, დროის, სიმძიმისა და წონასწორობის თემებს ამუშავებს მინიმალისტური, თუმცა სიმბოლურად დატვირთული ფორმათმეტყველებით.

კონსტრუქციულ-ინდუსტრიული ხაზის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს იასონ ჯანხოთელის „კამერა“ - ლითონის სიბრტყეები, ამოჭრილი წრიული ღიობები და ვერტიკალური ფირფიტა ქმნიდა ობიექტს, რომელიც ერთდროულად წარმოაჩენდა ხედვის, ჩარჩოსა და დაკვირვების აქტს. მკვეთრი კონსტრუქციული ელემენტები ქანდაკებას ინდუსტრიულ, თითქმის არქიტექტონიკულ ხასიათს ანიჭებდა.

ნიკოლო მელივას „ერთად“ ქვას, უჟანგავ ფოლადსა და შუშას შორის დიალოგზე იყო აგებული - ბუნებრივი, არარეგულარული ქვის ფორმა მკვეთრ ლითონის ღეროებს შორის მოქცეული, შუშის წრიული ელემენტით ერთიან სისტემად აყალიბებდა ბუნებასა და ტექნოლოგიას შორის ურთიერთკავშირს. ამ კონტექსტში წრიული შუშის ელემენტი გამაღივებელი

ლუპის ფუნქციით, დაკვირვების, დეტალის გამოკვეთისა და აღქმის გააქტიურების იდეას უსვამდა ხაზს.

სიმბოლური და ნარატიული მიდგომა მკაფიოდ იკითხებოდა რამდენიმე ნამუშევარში, სადაც ავტორები უფრო ღია კონცეპტუალურ სივრცეში მუშაობდნენ. ზვიად სულავას „ჭიდილში“ ბრინჯაოს განელილი ფიგურა სარკისებრ ფოლადის სიბრტყეს ებჯინებოდა და თითქოს მასში იძირებოდა; მუქი, ფაქტურული სხეული და ცივი, მბზინავი მეტალი შიდა ბრძოლასა და თვითშეფასების კრიზისს აირეკლავდა – დრამატული, თუმცა ლაკონური ფორმით.

პაატა კუსიანის „ადამი და ევა“ ხის ორგანულ ფორმასა და ლითონის „ნეკნებს“ აერთიანებდა, რითაც ბიბლიურ სიუჟეტს თანამედროვე პლასტიკურ ენაში თარგმნიდა; ხის დამწვარი და ნათელი ზედაპირები, ლითონის ცივი ხაზები ადამიანის ბუნების ორ საწყისს - ღვთიურსა და წარმავალს - შორის დაძაბულობას გამოხატავდა.

ნესტან ჯოლიას „კანონის კეთილშობილი სამოსელი“ თითქოს მხოლოდ ქსოვილის პლასტიკაზე აგებული, უსხეულო ფორმა იყო - მუქ ლურჯ ფონზე ლითონისებრი ელვარებით. აქ კანონი, როგორც წესრიგისა და ეთიკური საზომის გამოხატულება, სამოსის ფორმას იღებდა - მძიმე, გააზრებულ მატერიად, რომელიც ადამიანის არყოფნაშიც მის არსებობაზე მიაწინებდა. დასკვნით გამოფენაზე მკაფიოდ იკითხებოდა სოციალური და ეთიკური თემებიც. ლევან ვარდოსანიძის „არა ომს“ ბრინჯაოსა და შერეული ტექნიკის კომბინაციით შექმნილი ვერტიკალური ფიგურით მშვიდობის გზავნილს ქანდაკების ენით გადმოსცემდა: „LOVE - PEACE - RESPECT“ წარწერით ბუშტი და ქვედა ნაწილში განთავსებული დამსხვრეული ობიექტები ომისა და მშვიდობის დაპირისპირებას კონკრეტულ, ადამიანურ მასშტაბში წარმოაჩენდა.

გიორგი კიკაძის „ძლიერი სიყვარული“ ტონირებული თაბაშირის მასაში თავმოყრილი აბსტრაქტული ფორმებით არის აგებული - ოქროსფერი ზედაპირი და ენერგიული, თითქმის ვულკანური მოცულობა სიყვარულს, როგორც შემოქმედ და გარდამქმნელ ძალას, ავლენდა.

ბაქარია გულისაშვილის „თეატრი“ მეტალში ამოჭრილი ფორმებით, გრაფიკულ რიტმში შერწყმული ნიღბებითა და პროფილებით, თეატრის და, უფრო ფართო მნიშვნელობით, ცხოვრების „მრავალროლოვანობასა“ და ემოციურ მრავალფეროვნებას ირონიული ინტონაციით ასახავდა.

ეკატერინე ქოიავას „გაელვება“ ტონირებულ თაბაშირში შესრულებული წაგრძელებული ფიგურით სწრაფი, ერთნამიანი მოძრაობის შთაბეჭდილებას ქმნიდა; ფერთა მცირე, თუმცა ზუსტი აქცენტები და მსუბუქი

კონტური ქალის სხეულის პლასტიკასა და აბსტრაქტულ ფორმას შორის მერყეობდა.

ნინო ჩეჩელაშვილის „სვეტის მდუმარება და მზერა“ 3D ბეჭდვით შექმნილი ქანდაკებაა, სადაც ადამიანის სახე სვეტის ფორმაშია ჩასმული. ზედა ნაწილში განთავსებული მცირე სახლების ფორმები ნამუშევარს გარემოსა და მეხსიერების თემებთან აკავშირებს. ამ ნამუშევარში თანამედროვე ტექნოლოგია ქანდაკების იდეასთან და ფორმის შექმნის პროცესთან ბუნებრივად ერთიანდება.

ზურა დიღმელაშვილის „ის აქ არის“ მასიური, გამძაფრებული სახის ფორმით ყოფნის უხილავ, თუმცა ძლიერ განცდას საგნობრივ სახედ აქცევს.

ლევან მუზაშვილის „ხემ-ნეტჯერი“ ერთიანი ხის მასიდან გამოკვეთილი თავის სახით ხის ბუნებრივ ბზარებსა და ოქროსფერ აქცენტებს თანაბრად იყენებს, როგორც არქაული ნიღბისა და თანამედროვე პორტრეტის დამაკავშირებელ ნიშნებს.

ქეთევან ანასოვის „Goddess Gaia“ დედამიწის ქალღმერთის თემას შერეული ტექნიკით შექმნილ ფერად რელიეფში წარმოაჩენს. რბილი ფერები და ბუნებაზე მინიშნებები ნამუშევარს მშვიდ, ჰარმონიულ განწყობას ანიჭებს.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდა ავტორების მიერ წარმოდგენილი ნამუშევრები, რომლებიც არა ცალკე, იზოლირებულ ბლოკად, არამედ საერთო კონტექსტის ნაწილად იყო გააზრებული. ლაბარე ნოზაძის „ნაცრისფერი“ – მსხვილმეტრაჟიანი, შეგნებულად დეფორმირებული პორტრეტი ნაცრისფერი და მწვანე-ყვითელი პიგმენტებით – ახალგაზრდული ექსპრესიის და ემოციური დაძაბულობის ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი მაგალითი იყო. უხეში ზედაპირი, მკვეთრად დაჭიმული ყბა და ირიბი მზერა მაყურებელს ადამიანის შიდა კონფლიქტთან პირდაპირი შეჯახების განცდას უჩენდა. იოსებ ტატალაშვილის „ბალანსი“ შავი მეტალის გეომეტრიული კონსტრუქციით მუშაობდა: ასიმეტრიული, მაგრამ საბოლოოდ დაბალანსებული სტრუქტურა თანამედროვე ადამიანის მუდმივ მცდელობას ჰგავდა, იპოვოს სტაბილურობა ცვლილებებით სავსე გარემოში. გიორგი ჯარიაშვილის „განახლება“ ასევე მეტალზე აგებული ობიექტი იყო, გამჭოლი ამოჭრებითა და ფერად-ტექსტურული ზედაპირით, სადაც მძიმე მასა მცირდებოდა, იხსნებოდა და ახალ სივრცეს უთმობდა ადგილს – თითქოს მატერია ახალი სიცოცხლე დაიწყო. ბარბარა ავაზაშვილის „დიალოგი“ ორი ერთმანეთისკენ მიმართული ბიუსტით ადამიანის ურთიერთობას არა სიტყვების, არამედ შინაგანი მდგომარეობების დაპირისპირებად აჩვენებდა; თაბაშირის ფაქტურული ზედაპირი და მზერის უხმო კონტაქტი ქმნიდა დიალოგს, რომელიც სიტყვებს უკვე აღარ საჭიროებდა.

ამ მრავალფეროვან კონტექსტში „ქანდაკების ფესტივალი - 2025“ ფართო პროცესად წარმოჩნდა, სადაც ქანდაკება ერთდროულად აღიქმება როგორც ისტორიული მემკვიდრეობა და როგორც ცოცხალი, უწყვეტი ძიების პროცესი. საგანმანათლებლო ღონისძიებები, სტუდენტური ექსპერიმენტები და სხვადასხვა თაობის პროფესიონალი მოქანდაკეების ერთ სივრცეში თავმოყრილი ნამუშევრები ქმნიდა სურათს, რომელშიც ტრადიცია და ინოვაცია დაძაბულად, მაგრამ ნაყოფიერად თანაარსებობენ.

ფესტივალმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართულ ქანდაკებას, მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობის პარალელურად, მნიშვნელოვანი და პერსპექტიული განვითარების პოტენციალი გააჩნია, როგორც ქვეყნის ყოველდღიურ ვიზუალურ ცხოვრებაში, ისე რეგიონულ და საერთაშორისო კულტურულ დისკურსში.

Sculpture Festival – 2025

In 2025, the “Sculpture Festival” was held for the third time, organized by the Tbilisi Architects and Sculptors Association. Supported by Tbilisi City Hall, the festival represented not only a continuation of an already established format in terms of its scope and content, but also an effort toward its further development and renewal. The festival program once again brought together sculptors of different generations – children, students, and professional artists – within a unified context in which the current processes, explorations, and tendencies of contemporary Georgian sculpture could be clearly observed. The main events of the festival – its exhibitions – were held at the Elene Akhvlediani Children’s Picture Gallery.

The festival opened with the exhibition “Future Sculptor,” dedicated to school-age participants, which once again remained a central component of the program. Participants from various schools across Georgia presented three-dimensional sculptures, reliefs, and art objects created in diverse materials, including natural clay, plasticine, plaster, found objects, and simple construction elements.

The 2025 exhibition highlighted the free and direct vision of the young authors: in works based on historical, mythological, everyday, or fantastical themes, there was a clear sense of experimentation with material and a developing understanding of sculptural form. Ironical and poetic interpretations were also evident – the young participants sought not merely to “depict” a character, but to convey its personality and inner qualities.

“Future Sculptor” once again became a source of inspiration for the participating children and, for viewers, an opportunity to glimpse the future potential of Georgian sculpture. The focus was not on achieving a finished “academic” form; rather, greater importance was placed on nurturing sculptural thinking, direct engagement with materials, and improvisation – processes that lay the groundwork for future professional development.

The educational dimension of the festival remained equally significant in 2025. Student and youth projects, public lectures, discussions, and meetings enabled both participants and interested audiences to reflect not only on individual works, but also on the broader role sculpture occupies within the contemporary cultural landscape.

Discussions on current developments, the role of sculpture in shaping public space, the visual identity of the city, and the possibilities of articulating social themes through sculptural language enabled participants to perceive their own work as part of a broader Georgian and regional cultural context.

The festival concluded with one of its central events, the exhibition “Georgian Sculpture – 2025,” which brought together thirty contemporary works. The exhibition featured sculptural compositions created in recent years by professional sculptors of different generations.

The works were distinguished by the diversity of their materials, forms, and conceptual approaches – from traditional stone and bronze sculpture to experimental engagements with wood and metal, from plaster works to mixed media and 3D printing. The exhibition offered a clear picture of how monumental thinking today coexists in Georgia with easel-scale, intimate forms, and how figurative, narrative representation develops in parallel with abstraction and purely plastic explorations of form.

A significant place within the exhibition was devoted to the themes of the figure and the portrait. Liza Epitashvili's *Levan*, executed in tinted plaster, stood out for its intimate and contemplative character. The green monochrome surface and softly modeled forms endowed the portrait with a calm, reflective presence, directing the viewer's attention toward a quiet, inward emotion.

Beka Chkhaidze's *Student's Portrait*, also rendered in plaster, presented the image of a young figure distinguished by its partially unfinished surface and "suspended gaze," making visible the inner tension of adolescence and a palpable layer of introspection.

Ekaterine Gachechiladze's *Portrait of Psychologist Eter Shengelaia* clearly revealed the artist's interest in individual character. The composed, attentive gaze, subtle smile, and warm tonality shaped the work into a serene and humanely sensitive image.

Ekaterine Bulashvili's *Diana* appeared to continue the tradition of the classical bust, yet through a contemporary interpretation. The young woman's face, articulated with clear plastic modeling and complemented by a symbolic crescent element, positioned the portrait not only as a depiction of a specific individual but also as a mythological allusion.

Within the figurative line, Nikoloz Tabidze's bronze *Horse* held particular importance. His interest in movement and the charged, energetic body produced a sculpture in which strength, aspiration, and plastic freedom were brought into dynamic unity.

In a different yet related thematic register, Giorgi Lariashvili's *Horse* offered a calmer interpretation of the motif. The artist chose a restrained pose, seeking a balance between anatomical integrity and inner dynamism, thereby emphasizing controlled energy rather than overt movement.

The theme of the female figure found its own distinct articulation in Nugzar Manjaparishvili's stone *Female Torso*. Carved from a single monolithic block, the body is simplified almost to abstraction. Soft contours and the natural texture of the stone simultaneously convey both the movement of the body and the weight of form, creating a tension between fluidity and mass.

Nato Topuria's *Mood*, executed in tinted plaster, presented a female figure characterized by a light pose and lyrical plasticity. Through its gentle modeling and harmonious proportions, the work developed themes of emotional atmosphere, inner calm, and balance.

The exploration of abstraction and form emerged as one of the exhibition's most compelling directions. Tengiz Abramishvili's *Consonance* drew attention with its openwork bronze structure, in which body and void, mass and air, were treated as equally significant components. The light rhythm of the lines, the green patina, and the interplay of light and shadow within the structure generated a sense of harmony and continuous movement.

Avtandil Arbolishvili's *Abstraction*, constructed in wood, appeared as a spatially organized object defined by the alternation of geometric forms, rhythmic arrangement, and the natural texture of the surface. The work developed the concept of sculpture as a spatial structure, where construction and materiality become primary expressive means.

Rezo Khasia's *The Weight of Time* was built upon sharply balanced geometry: a massive lower form combined with an upward-directed conical body and an upper platform articulated themes of time, gravity, and equilibrium through a minimalist yet symbolically charged formal language.

Within a constructivist-industrial vein, Iason Jankhoteli's *Camera* stood out through its metal planes, circular cut-outs, and vertical plate. The object simultaneously evoked the ideas of vision, framing, and the act of observation. Its pronounced structural elements endowed the sculpture with an industrial, almost architectural character.

Nikolo Meliva's *Together* was structured as a dialogue between stone, stainless steel, and glass. The natural, irregular stone form, positioned between rigid metal rods and complemented by a circular glass element, formed a unified system articulating the relationship between nature and technology. In this context, the circular glass component functioned almost as a magnifying lens, emphasizing observation, the highlighting of detail, and the activation of perception.

A symbolic and narrative approach was clearly discernible in several works, where artists operated within a more open conceptual field. In Zviad Sulava's *Struggle*, an elongated bronze figure presses against a mirror-like steel plane, seemingly sinking into it. The contrast between the dark, textured body and the cold, reflective metal conveyed an inner conflict and a crisis of self-perception, articulated in a dramatic yet restrained formal language.

Paata Kusiani's *Adam and Eve* combined the organic form of wood with metal "ribs," translating the biblical narrative into a contemporary sculptural idiom. The charred and light surfaces of the wood, together with the cool linear elements of metal, expressed the tension between two principles of human nature – the divine and the mortal.

Nestan Jolia's *The Noble Garment of the Law* appeared as a bodiless form constructed solely through the plasticity of drapery, set against a dark blue surface with a metallic sheen. Here, the concept of law – understood as order and ethical

measure – took the shape of a garment: a heavy, considered material presence that suggested human existence even in physical absence.

Social and ethical themes were likewise strongly present in the final exhibition. Levan Vardosanidze's *No to War*, created in bronze and mixed media, conveyed a message of peace through the language of sculpture. The vertical figure holding a balloon inscribed with "LOVE – PEACE – RESPECT," juxtaposed with fragmented objects at its base, articulated the opposition between war and peace on a concrete, human scale.

Giorgi Kikadze's *Strong Love*, constructed from abstract forms condensed within tinted plaster, revealed love as a creative and transformative force. Its golden surface and energetic, almost volcanic volume emphasized intensity and generative power.

Zakaria Gulisashvili's *Theatre*, composed of cut metal forms, masks, and profiles integrated into a graphic rhythm, reflected – through an ironic tone – the multiplicity of roles and emotional diversity inherent in theatre and, in a broader sense, in life itself.

Ekaterine Koiava's *Flash*, a vertically elongated figure executed in tinted plaster, conveyed the impression of a swift, momentary movement. Subtle yet precise chromatic accents and a light contour oscillated between the plasticity of the female body and abstract form, capturing the fleeting nature of motion in sculptural terms.

Nino Chechelashvili's *The Silence and Gaze of the Column*, created through 3D printing, integrates the human face into the form of a column. The small house-like structures placed at the top connect the work to themes of environment and memory. In this sculpture, contemporary technology is organically intertwined with the conceptual and formal processes of sculptural creation.

Zura Dighmelashvili's *He Is Here* transforms an intensified, monumental facial form into a tangible image of invisible yet powerful presence.

Levan Muzashvili's *Khem-Netjeri*, carved from a single block of wood, incorporates the natural cracks of the material and golden accents as elements linking the archaic mask and the contemporary portrait.

Ketavan Anasovi's *Goddess Gaia* addresses the theme of the Earth goddess through a colorful relief executed in mixed media. Soft tones and references to nature lend the work a calm and harmonious atmosphere.

The works presented by young artists were of particular significance, not as an isolated segment but as an integral part of the overall context. Lazare Nozadze's *Grey* – a large-scale, deliberately deformed portrait rendered in grey with green-yellow pigments – stood out as one of the most striking examples of youthful expression and emotional intensity. The rough surface, sharply tightened jaw, and oblique gaze confronted the viewer directly with an inner human conflict.


Ioseb Tatalashvili's *Balance*, constructed from black metal in a geometric configuration, articulated an asymmetrical yet ultimately stabilized structure, evoking the contemporary individual's ongoing search for equilibrium within a constantly changing environment. Giorgi Jariashvili's *Renewal*, also metal-based, with its perforations and textured chromatic surface, suggested the reduction and opening of heavy mass, making space for transformation – as if the material itself were entering a new phase of life. Barbara Avazashvili's *Dialogue*, composed of two opposing busts, interpreted human interaction not as verbal exchange but as a confrontation of inner states; the textured plaster surface and silent exchange of gazes created a dialogue beyond words.

Within this diverse context, the Sculpture Festival – 2025 emerged as a broad cultural process in which sculpture is perceived simultaneously as historical heritage and as a living, ongoing field of exploration. Educational initiatives, student experiments, and the works of professional sculptors from different generations presented within a shared space formed a cohesive picture in which tradition and innovation coexist in dynamic yet productive tension.

The festival once again confirmed that Georgian sculpture, alongside its rich historical legacy, possesses significant and promising potential for development – both within the country's everyday visual life and within regional and international cultural discourse.

ქანდაკების
ფესტივალი 2025

მომავალი
მოქანდაკე



გავშვთა და მოზარდთა სკულპტურული
ნამუშევრების გამოფენა
17 ნოემბერი, 17:00

ქ. თბილისი
დ. აღმაშენებლის გამზ. 103



თბილისის მერია
TBILISI CITY HALL

WASAN
Tbilisi association of Sculptors and Architects

მომავალი მოქანდაკე

- ნოემბერი 17-21

„ქანდაკების ფესტივალი - 2025“-ის გახსნითი ღონისძიება, სახელწოდებით „მომავალი მოქანდაკე“, 17 ნოემბერს გაიმართა. ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო სასკოლო ასაკის ბავშვებისა და მოზარდების მიერ შექმნილი 70-მდე ნამუშევარი, რომლებიც ელექტრონული კონკურსის გზით შეირჩა.

„მომავალი მოქანდაკე“ წარმოადგენდა ღონისძიებას, სადაც დამწყებმა ხელოვანებმა საკუთარი შემოქმედებითი ხედვისა და უნარების წარმოჩენა შეძლეს. გამოფენა აერთიანებდა სხვადასხვა მასალისა და ფორმის სამგანზომილებიან სკულპტურებს, რელიეფებსა და სხვა ნამუშევრებს, რაც ნათლად ასახავდა მომავალი თაობის მხატვრულ ხედვასა და ინდივიდუალურ გამოხატულებას.

გამოფენის თითოეული მონაწილე სამახსოვრო სიგელით დაჯილდოვდა.



Future Sculptor

- 17–21 November

The opening event of the 2025 Sculpture Festival, titled Future Sculptor, was held on 17 November. The exhibition presented around 70 works created by school-age children and adolescents, selected through an online competition.

“The Future Sculptor” provided an opportunity for young artists to showcase their creative vision and skills. The exhibition included three-dimensional sculptures, reliefs, and other works made from various materials and forms, clearly reflecting the artistic perspectives and individual expressions of the next generation.

Each participant was awarded a commemorative certificate.



გამოფენის “მომავალი მოქანდაკე” გახსნა
Opening of the "Future Sculptor" exhibition



გამოფენის "მომავალი მოქანდაკე" გახსნა
Opening of the "Future Sculptor" exhibition



ლიზი ჯაბანაშვილი. „ბურატინო“ – სკულპტურული პლასტელინი
Lizi Jabanashvili. Buratino. Sculptural plasticine.



ნიკოლოზ ქართველიშვილი. „ოსკარი“ – პლასტელინი
Nikoloz Kartvelishvili. Oscar. Plasticine.
ანდრია ნაჭყებია. „ნაცარქექია“ – პლასტელინი
Nikoloz Kartvelishvili. Oscar. Plasticine.



დემეტრე ხეჩუაშვილი. არწივი – პლასტელინი

Demetre Khechuashvili. Eagle. Plasticine.

ალექსანდრე ჩანტლაძე. „მწყემსი“ – პლასტელინი

Aleksandre Chantladze. Shepherd. Plasticine.



ლუკა კუპატაძე. „მარტორქა“ – პლასტელინი

Luka Kupatadze. Rhinoceros. Plasticine..



სალომე ბერძენიშვილი. „ტყის ელფი - სიუქსი“ – პლასტელინი
 Salome Berdzenishvili. Forest Elf – Siuxi. Plasticine.



დაჩი ღამბარაშვილი. ვაჟა-ფშაველა“ – პლასტელინი
Dachi Ghambarashvili. Vazha-Pshavela. Plasticine.



ნიკოლოზ ნებიერიძე. „ქანდაკება „ტარიელი“ – პლასტილინი, მავთულის კარკასი
 Nikoloz Nebieridze. Sculpture “Tariel”. Plasticine, wire armature.



ცოტნე აბულაძე. „მეარღნე“ – თაბაშირი
 Tsotne Abuladze. Fife Player. Plaster



ნიკოლოზ კობახიძე. „მოსე“ – ტონირებული თაბაშირი
Nikoloz Kobakhidze. Moses. Toned plaster




დემეტრე ხრიკული. „დევი (ნაცარქექია)“ – სკულპტურული პლასტელინი
Demetre Khrikuli. The Giant (Natsarkekia). Sculptural plasticine.



ანი მოძმანაშვილი. „ჩარლი ჩაპლინი“ – პლასტელინი
Ani Mozmanashvili. Charlie Chaplin. Plasticine.

ქანდაკების ფესტივალი 2025



ქართული ქანდაკება -2025 წლის გამოფენა
28 ნოემბერი, 17:00

ქ. თბილისი
დ. აღმაშენებლის გამზ. 103



თბილისის მერია
TBILISI CITY HALL

ს. ა. ს. ა.
Tbilisi association of Sculptors and Architects

ქართული ქანდაკება - 2025 წლის გამოფენა

• 29 ნოემბერი - 1-დეკემბერი

2025 წლის „ქანდაკების ფესტივალის“ დასკვნითი ღონისძიება, „ქართული ქანდაკება - 2025 წლის გამოფენა,“ 29 ოქტომბერს გაიხსნა. ეს გამოფენა ერთგვარი შეჯამება იყო ფესტივალის პროგრამისა და აერთიანებდა ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში მოღვაწე მოქანდაკეების მიერ შექმნილ 32 ნამუშევარს.

ექსპოზიცია წარმოადგენდა ქართული ქანდაკების მრავალფეროვან ხედვას, სადაც ტრადიციული და თანამედროვე მიდგომები შერწყმული იყო ერთმანეთთან. დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდა განსხვავებულ მასალებსა და ტექნიკებს, რომლებმაც ქართული ქანდაკების ახალი მიმართულებები გამოავლინა და თანამედროვე მხატვრულ ტენდენციებზე დიალოგის შესაძლებლობა შექმნა.



„ქართული ქანდაკება - 2025 წლის გამოფენა,“ რომელიც 1 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდა, თბილისის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა, რამაც ქალაქი თანამედროვე ქანდაკების ცენტრად კიდევ ერთხელ წარმოაჩინა.



Georgian Sculpture – 2025 Exhibition

- 29 November – 1 December



Visitors had the opportunity to explore different materials and techniques, which revealed new directions in Georgian sculpture and created a space for dialogue on contemporary artistic trends.

The exhibition Georgian Sculpture – 2025, which remained open through 1 December, became a significant event in Tbilisi's cultural life, once again affirming the city's role as a center of contemporary sculpture.

The concluding event of the 2025 Sculpture Festival – the exhibition Georgian Sculpture – 2025 – opened on 29 October. The exhibition functioned as a comprehensive overview of the festival's program and presented 32 works created over the past three years by sculptors active in Georgia.

The exhibition presented a diverse perspective on Georgian sculpture, where traditional and contemporary approaches were fused together.






გამოფენის “ქართული ქანდაკება - 2025 წლის გამოფენა” გახსნა

Opening of the exhibition "Georgian Sculpture - 2025".



ქეთევან ანასოვი
 „Goddess Gaia“ - თაბაშირი, შერეული ტექნიკა, 73X50. 2025 წელი

Ketevan Anasov
 "Goddess Gaia" - plaster, mixed media, 73X50. 2025



ნიკოლო მელივა
„ერთად“ - ქვა, უჟანგავი ფოლადი, შუშა, 64X10,5X10,5. 2024 წელი

Nicolo Meliva
"Together" - stone, stainless steel, glass, 64X10,5X10,5. 2024



გიორგი ჯარიაშვილი
„განახლება“ - მეტალი, 31,5X15X11,5. 2025 წელი

Giorgi Jariashvili
“Renewal” - metal, 31,5X15X11,5.2025



იოსებ ტატალაშვილი
„ბალანსი“ - რკინა, მეტალი, 39X40X33,5. 2025 წელი

Ioseb Tatalashvili
"Balance" - Iron, Metal, 39X40X33,5.2025



ეკატერინე გაჩეჩილაძე „ფსიქოლოგ ეთერ შენგელაიას პორტრეტი“
ტონირებული თაბაშირი, 38X21X21. 2020 წელი

Ekaterine Gachechiladze
"Portrait of Psychologist Eter Shengelaia" - Toned Plaster, 38X21X21. 2020




რეზო ხასია
„დროის სიმძიმე“ - მეტალი, 79,5X40X28. 2025 წელი

Rezo Khasia
"The Gravity of Time" - Metal, 79,5X40X28. 2025



ნესტან ჯოლია. კანონის კეთილშობილი სამოსელი“
დაფერილი თაბაშირი, 16,5X18,5X20. 2025 წელი

Nestan Jolia. "The Noble Robe of the Law"
colored plaster, 16,5X18,5X20.2025




ავთანდლილ არბოლიშვილი
 “აბსტრაქცია” - ხე, 51,5X8X7,5. 2024 წელი.

Avtandlil Arbolishvili
 “Abstraction” - wood, 51,5X8X7,5. 2024



ლევან ვარდოსანიძე
„არა ომს“ - ბრინჯაო, შერეული თექნიკა, 104 სმ. 2025 წელი

Levan Vardosanidze
"No to War" - Bronze, Mixed Media, 104 sm. 2025




ნატო თოფურია
„განწყობა“ - ტონირებული თაბაშირი, 48X16X10,5. 2025 წელი

Nato Topuria
"Mood" - tinted plaster, 48X16X10,5.2025



გიორგი ლარიაშვილი
„ცხენი“ - ბრინჯაო, 39,5X40X15,2

Giorgi Laliashvili
“Horse” - bronze, 39,5X40X15,2




ნინო ჩეჩელაშვილი
 „სვეტის მდუმარება და მზერა“ – 3D ბეჭდვა, 28X11X13,5. 2025 წელი

Nino Chechelashvili
 “The Silence and Gaze of the Column” – 3D Printing, 28X11X13,5. 2025



ბარბარა ავაზაშვილი
„დიალოგი“ - თაბაშირი, 47X28X24. 2025 წელი

Barbara Avazashvili
“Dialogue” -plaster, 47X28X24. 2025



ზაქარია გულისაშვილი
„თეატრი“ - მეტალი, ხე, 58X16X24. 2024 წელი

Zakaria Gulisashvili
"Theater" - metal, wood, 58X16X24. 2024




ზურა დიგმელაშვილი
„ის აქ არის“ - თაბაშირი, 45,5X20X28. 2025 წელი

Zura Digmelashvili
"He is here" - plaster, 45,5X20X28. 2025



ნინო თალაკვაძე, „ფერისცვალება“ - დეკორატიული ცემენტი მოვერცხლილი,
40X25X24,5. 2025 წელი

Nino Talakvadze, "Color Change" - Decorative Cement Silver
Plated, 40X25X24,5. 2025



ნუგზარ მანჯაფარიშვილი
„ქალის ტორსი“ - ქვა, 60X22X10

Nugzar Manjaparishvili
"Female Torso" - Stone, 60X22X10




იასონ ჯანხოთელი
„კამერა“ ლითონი, 39x20x20. 2025 წელი

Jason Jankhoteli
"Camera" - metal, 39x20x20. 2025



ლაზარე ნოზაძე
„ნაცრისფერი“ - ტონირებული თაბაშირი, 51X21,5X23,5. 2025 წელი

Lazar Nozadze
"Gray" - tinted plaster, 51X21,5X23,5. 2025




პაატა კუსიანი
„ადამი და ევა“ - ხე, ლითონი, 44X117X14,5. 2025 წელი

Paata Kusiani
"Adam and Eve" - wood, metal, 44X117X14,5. 2025




ეკატერინე ბულაშვილი
„დიანა“ - ტონირებული თაბაშირი, 58X26X25,5. 2025 წელი

Ekaterine Bulashvili
"Diana" - tinted plaster, 58X26X25,5. 2025



ეკატერინე ქოიავა
„გაელვება“ - ტონირებული თაბაშირი, 40X19X24,5

Ekaterine Koyava
"Lightning" - Tinted Plaster, 40X19X24,5




თენგიზ აბრამიშვილი
„კონსონანსი,, - ბრინჯაო, 71X24X16. 2025 წელი

Tengiz Abramishvili
„Consonance,, - Bronze, 71X24X16. 2025



ლიზა ეპიტაშვილი
„ლევანი“ - ტონირებული თაბაშირი, 43X21X24. 2020 წელი

Liza Epitashvili
"Levan" - tinted plaster, 43X21X24. 2020




ნიკოლოზ ტაბიძე
„ცხენი“ - ქვა, ბრინჯაო, 29X14,5X21,5. 2016 წელი

Nikoloz Tabidze
"Horse" - stone, bronze, 29X14,5X21,5. 2016



ბეკა ჩხაიძე
„სტუდენტის პორტრეტი“ - თაბაშირი, 41,5X22,5X19. 2025 წელი

Beka Chkhaidze
“Portrait of a Student” - plaster, 41,5X22,5X19. 2025



ზვიად სულავა
„ჭიდილი“ - ბრინჯაო, ფოლადი, 21,5X23X21. 2025 წელი

Zviad Sulava
"Wrestling" - bronze, steel, 21,5X23X21. 2025



კორნელი რამიშვილი
„სამეფო გამოფენა“ - ხე, 37X33X38. 2025 წელი

Korneli Ramishvili
"Royal Exhibition" - Wood, 37X33X38. 2025



გიორგი კიკაძე
„ძლიერი სიყვარული“ - ტონირებული თაბაშირი, 80X29X25. 2025 წელი

Giorgi Kikadze
“Strong Love” - toned plaster, 80X29X25. 2025



ლევან მუზაშვილი
„ხემ-ნეტჯერი“ - ხე. 36X30X33

Levan Muzashvili
"Tree-Netjer" - Tree, 36X30X33



Tbilisi Architects and Sculptors Association



[www.tasa .ge](http://www.tasa.ge)

Tbilisi -2025